

საქართველო



ფასი 3 მან.

საქართველო, ივლისის 20 1920 წ.

საქართველოს რეპუბლიკის

მთავრობის მხარე, ურევლური გაზეთი (ოფიციალური და არა-ოფიციალური განყოფილებით) საქართველოს რეპუბლიკა

1-ლი ქვეითა რაზმი შეიქმნა

სამწევო ნაწილის კანვე ლარიაში ნამყოფ გამოცდილ მწერალს ან ყოფილ საქმის მწარმოებელს. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 9-2 საათამ დას-რახმის შტაბში, ქ. ქუთაისში. 761 3-2

საქართველოს მუშაების უნებურებისათვის

საქიროა ადგილობრივი ხმელი ხე-ტყე (ფიჭვები, კოკები, სამოჯირეები და სხ.) 8.000 კვადრატულ ვერშოკამდის და ასტრახანის ხე-ტყე კარებისა და ფანჯრებისათვის 1.000 კვ. ვერშოკამდის. დაწვრილებითი ცნობები მასალების და მოტანა დაწყობის პირობების შესახებ მსურველთ შეუძლიან მიიღონ დღესვე კომისიის კანცელარიაში (ლორის მეღვივის ქუჩა 10) დღის 10-2 საათამდის. 763 2-1

გაფორმდა უნივერსალიტეტის საფუძვლისათვის

ამა წლის 25 ივლისს, დღის 10 საათზე. რუსთაველის პროსპექტი, სახლი № 6. განსახილველია 1920-1921 წლის ბარჯთალიტეტი და სხვა მიმდინარე საკითხები. 1897 1-1

ოფიციალური განცხადება

დაცულია საქართველოს ჯანმრთელობის დეპარტამენტისათვის

1. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალი ჯანმრთელობის ორგანო შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტისათვის... 2. დეპარტამენტის მოვალეობა: შეიქმნას საექიმო-სასანიტარო კანონ-პროექტები... 3. დეპარტამენტი თვალყურს ადევნებს და აწარმოებს კონტროლს ყოველი საექიმო-სასანიტარო დაწესებულებისათვის... 4. დეპარტამენტი აწარმოებს საერთაშორისო სანიტარიის დაცვის საქმის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სახელმწიფოებრივ ფარგლებში საერთო ბიოლას წინააღმდეგ... 5. დეპარტამენტი აწარმოებს ექსპერტიზის საქმის სახელმწიფოში... 6. დეპარტამენტი განაწესობს და განაგებს რესპუბლიკის საზღვრებში საექიმო და სასანიტარო სტატისტიკის საქმეს... 7. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს და განაგებს საექიმო-სასანიტარო მხრით სახელმწიფოებრივ მნიშვნელოვანი ავარიკ კურორტების საქმეს... 8. დეპარტამენტი განაგებს რესპუბლიკის საფარმაცო და საფარმაცევტო საქმეს... 9. ყოველი უნივერსალური საქმის საფარმაცო და განსახორციელებლად არსდება მართვა-გამგეობის საბჭო, რომელიც მუშაობს დეპარტამენტის უფროსის თავმჯდომარეობითა და ხელმძღვანელობით... 10. დეპარტამენტი აქვს შემდეგი განყოფილება: ერობის და ქალაქის მედიცინისა, ჯარის, საფარმაცო, საკურორტო და სარკინისგზო. 11. დეპარტამენტთან არსებობს სამედიცინო-სამეცნიერო საბჭო.

ქ ა ნ ო ნ ი

ქანონი ჯანმრთელობის დეპარტამენტის და-არსებისათვის. 1. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილებების ნაკვეთი და-არსებულ იქნეს 1920 წლის ივლისის 1-დან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჯანმრთელობის დეპარტამენტი, თანახმად ამ კანონთან დაბრუნებული დებულების, შტატის და ხარჯთალიტებისათვის. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული ჯანმრთელობის დეპარტამენტის შტატის და ხარჯთალიტების საქმისათვის გაეცემოდ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის 1920 წლის ივლისის 1-დან 1921 წლის ივლისის 1-დღი მილიონი ცხრასსამოცდა რვა ათას ხუთას ოთხი (2.968.504) მან. 3. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ივლისის 13-ს.

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს ა და მაზრების დამსახურებულ მცხოვრებელთა დასახმარებლად 55000000 მან. გადადება

1. გაეცემოდ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის ორმოცდა ოთხთმეტი მილიონი (55.000.000) მანეთი ქალაქებისა და მაზრების დამსახურებულ მცხოვრებელთა დასახმარებლად. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხიდან ოცი მილიონი (20.000.000) მანეთი მოხმარდეს ქალაქთა, ხოლო ოცდა ოთხთმეტი მილიონი (35.000.000) მანეთი მაზრების დამსახურებულ მცხოვრებელთა საქმისათვის. 3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ივლისის 13 ს.

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს ა და მ ა ზ რ ე ბ ი ს ა

1. უფლება მიეცეს ყოველი ქალაქის თვითმართვლობის თავისი ტერიტორიის ფარგლებში დააწესოს ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი მოწყობილი ობიექტისა და გასტრონომიული მალაზიებისათვის სტრატეგიკო გადასახადის ნორმების თანახმად. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ივლისის 9-ს.

ფულადი და ხაჯთ-ალისგან. ჯანმრთელობის დეპარტამენტის 1920 წლის ივლისის 1-დან 1921 წლის ივლისის 1-დღე.

Table with 5 columns: No. of items, Item name, Quantity, Price per unit, Total price. Includes items like 'დეპარტამენტის დირექტორი', 'ლაბორატორიის მომუშავე ქიმიკოსი', 'სამედიცინო საბჭოს წევრების და მდივნის გასამარჯულო', etc.

არა-ოფიციალური განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტროს, 5. რამიშვილის ხელის მოწერიტ ყველა სამაზრო ერობის თვითმართვლობის და სამაზრო მილიციის უფროსებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა: ყველა ივის თუ არა მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში მოუსავლობას, მოუსავლობა ამიქმებს ხალხის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რაც დიდ გავლენას ახდენს ხალხის მასაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საქმეზე. მოსავალი და სახელმწიფოს კულტურულ-ეკონომიური სიძლიერე მკიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაატაროს დამფუძნებლად ცხოვრებაში სხვა და სხვა სოციალ-ეკონომიური ზომები, როდესაც მცხოვრებლები არ გრძობენ დანაკლისს უპირველეს საქიროების საგნებში და უპირველესად ყოვლისა პურში. 2 წლის განმავლობაში არ ყოფილა საქართველოში კარგ მოსავალი. წელს მოყვანილ კარგ მოსავალს, მაგრამ თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ დანამდვილებითი ცნობებისა, გაჩენილ უპასუხისმგებლო პირობები, რომელთაც განუზრახავთ ხორბლის წიწისწარ შეყვინდა და საქართველოს საზღვრებიდან გატანა. ასეთ მოქმედებას შეუძლია კვლავ შექმნას რესპუბლიკაში სასურსათო კრიზისი. დაუშვებელი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს, ან მის მთავრობას არ მიეცეოთ ამისათვის ყურადღება. ის პირობები, რომელთა ნივთავის მოქმედებით ძირს უთხრიან რესპუბლიკის და ხალხის კეთილდღეობას, სამარცხვინო სეგტებზე უნდა იქნან მიკრულნი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვლოს ბოლო ასეთ ბოროტ-მოქმედებას. გაცნობებთ რა ამას, გვევლებათ სასტიკათ ადევნოთ თვალყური, რომ არც ერთი მარცვალი არ იქნეს გატანილი რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამის განსახორციელებლად თქვენ გაქვთ სასტიკი და ჩქარი ზომების მიღების საშუალება მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედოს და მის საზღვრებიდან ხორბალი გაიტანოს. დამნაშავენი სწრაფად უნდა იქნეს მიცემულნი სამართალში. თქვენი მოქმედების შედეგი დაუყოვნებლივ აცნობეთ სამინისტროს. ნეიტრალურ ზონის მცხოვრებელთა შუამდგომლობა. შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიღეს შუამდგომლობა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის რუს, ბერძენ და თათარ მოსახლეობისაგან ამ ნეიტრალურ ზონის საქართველოსთან შეერთების შესახებ. სხვათა შორის შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიღო დადგენილება, რომელიც გამოუტანიათ ნეი-





